საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თამარის ეპიტაფია“

„თამარის ეპიტაფია“, ქართული ხალხური ლექსი, ზეპირსიტყვიერი ეპიტაფიის ნიმუში, სრულდებოდა ფერხულის წესით. ლექსი პირველი პირით არის ნათქვამი („თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ძირს აღარ დავიდე, ზღვაში ჩავყარე სამნები, ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე"...), მასში ოსტატურადაა გამოთქმული ხალხ. სიბრძნე; ამასთანავე, ხალხმა თამარის მოღვაწეობას ფანტასტიკური ელფერიც შემატა („ქაჯებსა დავდე იჯარა, ისპაანს ხარჯი ავიღე"...).

„თ. ე." გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში; ვარიანტებს შორის არ არის არსებითი განსხვავება.

ლიტ.: კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ხალხური პოეზია, ქუთ., 1934; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტექსტი მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ქ. სიხარულიძემ, I, თბ., 1961; ც ა ი შ ვ ი ლ ი ს., თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1943.

ჯ. ბარდაველიძე